

ახალსამოციქულო ეკლესია

კათოლიკური და ანგლიკანური წარმოშობის ეპისკოპალური ეკლესიაა, ატარებს როგორც პროტესტანტული, ისე ტრადიციული ეკლესიის ნიშნებს. ამ ეკლესიის დამარსებლები იყვნენ ჰაინრიჰ გაიერი და ფრდრიჰ ვილჰელმი. წარმოიშვა ინგლისში, მაგრამ მან გერმანიაში უფრო მოიკიდა ფეხი.

მათ დაახლოებით 11 მლნ. მიმდევარი ჰყავთ.

მე-18-19 სს. მიჯნაზე დიდ ბრიტანეთში ბევრი თეოლოგი და მორწმუნე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანამედროვე ეკლესიას პირველ ქრისტიანთა ნიჭი და სულიწმინდის ცხოველმყოფელი მოქმედება მოაკლდა. 1830წ. ინგლისსა და შოტლანდიაში დაიწყო „ხალხთა გამოსაფხიზლებელი მოძრაობა“, რომელიც სულიწმინდის მოფენისათვის ლოცულობდა. 1832წ. ასპარეზზე ჩნდებიან 12 „მოციქული“, რომლებიც, მათი თქმით, მოციქულთა მისიისათვის წინასწარმეტყველური ხილვების შედეგად იყვნენ მოწოდებულნი. მათ შეიმუშავეს სამოქმედო პროგრამა და 1835წ. 14 ივნისს ინგლისში დაარსეს „კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესია“. ეკლესიას ჰქონდა ეკუმინური მისწრაფებები და მიზნად ისახავდა ეკლესიათა ერთიანობის აღდგენას. თორმეტი მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, „წინასწარმეტყველ“ ჰაინრიჰ გაიერის დიდი ავტორიტეტის გამო კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიის ცენტრმა გერმანიაში გადმონაცვლა. 1863წ. განხეთქილება მოხდა („ჰამბურგის სქიზმა“) და შეიქმნა 2 ორგანიზაცია: 1) „ზოგადი ქრისტიანულ-აპოსტოლური მისია“ და 2) „ახალსამოციქულო ეკლესია“.

1933წ.(ნაცისტების დროს) ახალსამოციქულო ეკლესია გერმანიაში კანონგარეშედ გამოცხადდა. ახალსამოციქულო ეკლესიის თემი რუსეთში გაჩნდა რევოლუციის წინა წლებში, მაგრამ ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში ვერ იარსება. სამაგიეროდ პირველი მსოფლიო ომის და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს კონფესია გავრცელდა აფრიკის, ინდო-ჩინეთის, ავსტრალიისა და ამერიკის ბევრ ქვეყანაში.

1993წ. გერმანიაში საქართველის მისია შეიქმნა. მისიონერები ბერნდ კლიპარტის მეთაურობით თბილისში 1994წ. ჩამოვიდნენ და ქადაგების შემდეგ ეკლესია ჩამოაყალიბეს. 2002წ. 7 აპრილს ავლაზარში (თბილისში), მათ ახალი ეკლესია აკურთხეს. ამჟამად თბილისში 2 ეკლესია არსებობს. ეკლესიები აქვთ ბათუმში, ქუთაისში, ახმეტაში. შედარებით დიდია ქორელთის ეკლესია(ახმეტა). ახალმოციქული ეკლესია საქართველოში 700-დე წევრს აერთიანებს. გამოსცემენ ჟურნალს „ჩვენი ოჯახი“.